# სალიცენზიო შეთანხმება N4202

საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების სასწავლო მიზნით ბეჭდური ფორმით რეპროდუცირებისათვის
(კომერციული, პროფესიული და სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურებები CPV98110000)

თბილისი 17 დეკემბერი 2018 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია (შემდგომში "ასოციაცია"), რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონისა (შემდგომში "კანონი") და საკუთარი წესდების საფუძველზე, წარმოდგენილი მისი გამგეობის თავმჯდომარის გიგა კობალაძის სახით და მეორე მხრივ სსიპ **„საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"** (შემდგომში „მოსარგებლე"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზვიად როსტომაშვილის სახით, ითვალისწინებენ, რა რომ:

- „ასოციაცია" წარმოადგენს ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაციის (CISAC) და ჩაწერისა და მექანიკური რეპროდუცირების უფლებების მმართველი საზოგადოებების საერთაშორისო ორგანიზაციის (BIEM) ნამდვილ წევრს
- "ასოციაცია", "კანონის" 65-ე მუხლის შესაბამისად, ავტორთა და მათი უფლებების მემკვიდრეების, აგრეთვე ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი, უცხოეთის ანალოგიური ორგანიზაციების სახელით, რომლებიც თავის მხრივ "კოლექტიურ საფუძველზე მართავენ უცხოელ ავტორთა ქონებრივ უფლებებს, უფლებამოსილია გასცეს ლიცენზია "მოსარგებლეზე" საავტორო უფლებების დაცვას დაქვემდებარებული ობიექტის ამ შეთანხმებით განსაზღვრული ფორმით გამოყენებაზე

"მოსარგებლე" აცხადებს თანხმობას მიიღოს ლიცენზია "ასოციაციის რეპერტუარს" მიკუთვნებული ნაწარმოებების რეპროდუცირებაზე

## 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. **„კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია"** – საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია (GCA)

1.2. **„ავტორი"** – ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შეიქმნა ნაწარმოები.

1.3. **"უფლების მფლობელი"** – საავტორო უფლების მფლობელი (კომპოზიტორი, ტექსტის ავტორი, მუსიკალური გამომცემელი, ან საავტორო უფლების მფლობელის მემკვიდრე).

1.4. **„მოსარგებლე"** – ორგანიზაცია, რომელიც ამა თუ იმ სახით იყენებს „ასოციაციის რეპერტუარში" შემავალ ნაწარმოებს.

1.5. **„ასოციაციის რეპერტუარი"** – როგორც საქართველოს ავტორთა, ან მათ მემკვიდრეთა და/ან საავტორო უფლებების სხვა მფლობელთა, ასევე უცხოეთის ანალოგიურ საავტორო-სამართლებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთწარმომადგენლობის თაობაზე დადებული შეთანხმებებით გათვალისწინებული საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებ(ებ)ი, რომელთა ავტორებმა, მათმა მემკვიდრეებმა და/ან უფლების სხვა მფლობელებმა თავიანთი საავტორო ქონებრივი უფლებები კოლექტიურ საფუძველზე სამართავად გადასცეს „ასოციაციას".აგრეთვე იმ ავტორთა ნაწარმოებები, რომლებსაც არ გადაუციათ თავიანთი უფლებები ასოციაციისათვის კოლექტიურად სამართავად.

1.6. **„საავტორო უფლების დაცვის ობიექტი"** – ინტელექტუალური შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილი ნაწარმოები, რომელზეც მოქმედებს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი საავტორო ქონებრივი უფლებების დაცვის ვადა.

1.7. **„ნაწარმოების გამოქვეყნება"** – ავტორის ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელის თანხმობით განხორციელებული ქმედება, რომელიც ნაწარმოებს პირველად ხდის ხელმისაწვდომს საყოველთაო გაცნობისათვის მისი გამოცემის მეშვეობით.

1.8. **რეპროდუცირება** – საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანად ან მისი ნაწილის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მათ შორის, ხმისა და ვიდეოჩანაწერის ფორმით. რეპროდუცირებად ასევე ჩაითვლება ჩაწერა დროებითი ან მუდმივი შენახვისათვის, ელექტრონული (ციფრულის ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით.

## 2. ლიცენზიის საგანი

2.1 „ასოციაცია" გასცემს „მოსარგებლეზე" ლიცენზიას "ასოციაციის რეპერტუარს" მიკუთვნებული ნაწარმოებების სასწავლო მიზნით ბეჭდური ფორმით რეპროდუცირებისათვის.

2.2 სასწავლო მიზნით ბეჭდური ფორმით რეპროდუცირებისათვის "ასოციაციის რეპერტუარს" მიკუთვნებული ნაწარმოებების ყოველი გამოყენება ხორციელდება ლიცენზიის დანართის სახით, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.3 მხარეები ადასტურებენ, რომ ეს ლიცენზია არ არეგულირებს ავტორთა პირად არაქონებრივ და მომიჯნავე უფლებებს, აგრეთვე არ შეეხება ნაწარმოებების გადამუშავებას, და/ან გამოყენებას სხვა მიზნებისათვის, გარდა ამ ლიცენზიით განსაზღვრული პირობებისა. მოსარგებლისადმი ამ შეთანხმების ფარგლებს გარეთ დარჩენილი უფლებების შელახვის თაობაზე პრეტენზიის წაყენების შემთხვევაში იგი პასუხს აგებს კანონის შესაბამისად.

## 3. მხარეთა უფლება მოვალეობები

3.1 „მოსარგებლე" ვალდებულია ნაწარმოებების ბეჭდური ფორმით რეპროდუცირებამდე 10 (ათი) დღით ადრე „ასოციაციის" მიერ დადგენილი წერილობითი განაცხადის ფორმით მიაწოდოს მას ინფორმაცია ნაწარმოების დასახელების, მისი ავტორის და ტირაჟის რაოდენობის შესახებ

3.2 „მოსარგებლე" ვალდებულია ყოველ ექვს თვეში ერთხელ წერილობითი სახით მიაწოდოს ასოციაციას დოკუმენტური ინფორმაცია საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების შემცველი სასკოლო სახელმძღვანელოების (ბეჭდური გამოცემის) რეალიზაციით მიღებული შემოსავლების შესახებ.

3.3 ინფორმაცია წარდგენილად ჩაითვლება "მოსარგებლის" მიერ „ასოციაციისათვის" ამ ლიცენზიაში მითითებულ რეკვიზიტებზე (მათ შორის ელ-ფოსტაზე) მისი გაგზავნისა და "ასოციაციის" მხრიდან აღნიშნული ინფორმაციის მიღების დადასტურების შემთხვევაში.

3.4 „მოსარგებლე" პასუხისმგებელია „ასოციაციაში" წარდგენილი დოკუმენტაციის სისწორესა და სისრულეზე.

3.5 შეთანხმების საფუძველზე „მოსარგებლეს" გადაეცემა სალიცენზიო მოწმობა, რომელიც მის მიერ უნდა განთავსდეს საქმიანობის ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას.

3.6 „მოსარგებლე" უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ იმ ნაწარმოებების ბეჭდური ფორმით რეპროდუცირება, რომლებიც წინასწარ იქნა შეთანხმებული „ასოციაციასთან".

ასოციაცია__________/გიგა კობალაძე/ მოსარგებლე__________/ ზვიად როსტომაშვილი/

3.7 “ასოციაციის რეპერტუარს” მიკუთვნებული ნაწარმოებების სასწავლო მიზნით რეპროდუცირებაზე შეუთანხმებლობის და/ან საავტორო უფლებების დარღვევით რეპროდუცირებისას “ასოციაცია” უფლებამოსილია მოსთხოვოს „მოსარგებლეს“ კომპენსაცია გადასახდელი საავტორო ჰონორარის ათმაგი ოდენობით.

3.8 „მოსარგებლე“ ვალდებულია „ასოციაციას“ წარუდგინოს ყოველი გამოცემული პროდუქციის სასიგნალო ეგზემპლარი, გამოცემიდან სამი დღის განმავლობაში.

3.9 „მოსარგებლის“ მიერ ნაწარმოებების რეპროდუცირებისას მესამე პირთა საავტორო უფლებების განზრახ დარღვევის შემთხვევაში პასუხს აგებს „მოსარგებლე“.

3.10 „მოსარგებლე“ ვალდებულია აწარმოოს გამოყენებული ნაწარმოებების აღრიცხვა „ასოციაციასთან“ შეთანხმებული ფორმითა და წესით, ხოლო ამ უკანასკნელს უფლება აქვს გააკონტროლოს „მოსარგებლის“ ამ შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებული საქმიანობა.

3.11 „მოსარგებლეს” ლიცენზია არ აძლევს უფლებას განახორციელოს ნაწარმოების სხვა სახით გამოყენება გარდა ამ სალიცენზიო შეთახმებით გათვალისწინებული პირობებისა.

3.12 „მოსარგებლეს” ამ სალიცენზიო შეთანხმებით უფლება არ აქვს „ასოციაციის“ წერილობითი თანხმობის გარეშე გადასცეს ან დაუთმოს მესამე პირს ამ შეთანხმებით მიღებული უფლებები.

3.13 „ასოციაცია“ უფლებამოსილია აუკრძალოს „მოსარგებლეს“ ერთი ან რამდენიმე ნაწარმოების გავრცელება ავტორის, ან საავტორო ქონებრივი უფლებების სხვა მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე.

3.14 „ასოციაცია“ ვალდებულია დაარეგულიროს „მოსარგებლის“ მიმართ ავტორთა, ან მათ მემკვიდრეთა და საავტორო ქონებრივი უფლებების სხვა მფლობელთა შესაძლო პრეტენზიები საავტორო ჰონორართან დაკავშირებით ყველა იმ უფლების ფარგლებში, რომელიც გადაცემულია მოსარგებლისათვის ამ სალიცენზიო შეთანხმებით.

## 4. ფინანსური პირობები

4.1 „მოსარგებლე“ ვალდებულია გადაიხადოს ჰონორარი დადგენილი განაკვეთების (ტარიფების) შესაბამისად, რომელიც დაერთვის სალიცენზიო შეთანხმებას და განიხილება მასთან ერთობლიობაში.

4.2 “მოსარგებლე” ადასტურებს, რომ გაცნობილია განაკვეთების პირობებს და ეთანხმება მათ.

4.3 „მოსარგებლის“ მიერ ჰონორარის გადახდის ვადები და პერიოდულობა დგინდება ლიცენზიის 2.2. მუხლით გათვალისიწინებული დანართებით

4.4 იმ შემთხვევაში თუ “მოსარგებლის” მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ტირაჟის რაოდენობის, პერიოდულობის და სხვა მონაცემების შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს, ან ტირაჟის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი სრულად, “ასოციაცია” უფლებამოსილია ჯარიმის სახით დააკისროს მას ლიცენზიით განსაზღვრული გადასახდელი ჰონორარის ათმაგი ოდენობის გადახდა.

4.5 ჰონორარის გადახდის და/ან ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის ვადების დარღვევისათვის, ასევე არასწორი და/ან არასრული ინფორმაციის წარდგენისათვის, ასოციაციას უფლება აქვს მოსთხოვოს “მოსარგებლეს” პირგასამტეხლოს გადახდა მიმდინარე პერიოდში გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც არ ათავისუფლებს „მოსარგებლეს“ ამ შეთანხმებით ნაკისრი ჰონორარის გადახდისა და ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულებისაგან.

## 5. გარანტიები

5.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა დავას, რომელსაც მესამე პირი წამოჭრის „მოსარგებლის“ მიმართ ნაწარმოებების გამოყენების შედეგად ჰონორარის მიღების, ან/და განაწილების მიზნით, წყვეტს „ასოციაცია“ ამ შეთანხმების და მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსლების ფარგლებში.

5.2. ”ასოციაცია” არ არის პასუხისმგებელი „მოსარგებლის“ მიერ ნაწარმოებების მოპოვების წყაროს კანონიერებასთან დაკავშირებით და აღნიშნულთან დაკავშირებული დავა “მოსარგებლესა” და ნებისმიერ მესამე პირს შორის დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად “ასოციაციისაგან” დამოუკიდებლად.

5.3. მხარეები თანხმდებიან, რომ მესამე პირის მიერ კონკრეტული უფლების მფლობელისგან ნაწარმოების ექსკლუზიურად გადაცემის უფლების მოპოვების შემთხვევაში აღნიშნულ მესამე პირსა და „მოსარგებლეს“ შორის დავის არსებობისას, ”ასოციაცია” არ არის პასუხისმგებელი დაარეგულიროს აღნიშნული დავა და იგი დარეგულირდება „ასოციაციისაგან“ დამოუკიდებლად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. კონფიდენციალურობა

6.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას არ გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა ამ შეთანხმების შესრულების პროცესში და მხარეთა ორგანიზაციული ინტერესებიდან გამომდინარე წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს მეორე მხარეს მიყენებული ზიანი.

## 7. დავების გადაწყვეტა

7.1. მხარეებს შორის წარმოშობილი ყველა დავა გადაწყდება მოლაპარაკების გზით.

7.2. მოლაპარაკების წარუმატებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

## 8. მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

8.1. სალიცენზიო შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

8.2. „მოსარგებლის“ მიერ ამ შეთანხმებით ნაკისრი ჰონორარის გადახდის ვადის სამოც დღეზე მეტი დროით გადაცილების და/ან არაზუსტი და/ან არასრული ინფორმაციიის წარდგენის შემთხვევაში „ასოციაციას“ უფლება აქვს ცალმხრივად, ვადამდე შეწყვიტოს შეთანხმება

8.3. შეთანხმება წყდება „ასოციაციის“ მიერ, მოსარგებლისათვის წერილობითი შეტყობინების ჩაბარებისთანავე.

*ასოციაცია* ________ */გიგა კობალაძე/*

*მოსარგებლე* ________ */ ზვიად როსტომაშვილი/*

8.4. "ასოციაციის" მიერ შეთანხმების ცალმხრივად, ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ჰონორარის გადახდასთან და ინფორმაციის წარმოდგენასთან დაკავშირებული ვალდებულებები ძალაში რჩება მათ შესრულემაბდე.

8.5. შეთანხმების შეწყვეტა „მოსარგებლეს" ართმევს „ასოციაციის რეპერტუარს" მიკუთვნებული ნაწარმოებების შემდგომი გამოყენების უფლებას იმ მომენტამდე, სანამ, კანონით დადგენილი წესით არ მიიღებს სათანადო წესით გაფორმებულ ნებართვას.

8.6. "ასოციაციას", თავის მხრივ ეკისრება მტკიცების ტვირთი შეთანხმების ცალმხრივად ვადამდე შეწყვეტის საფუძვლების დადასტურების შესახებ.

8.7. "ასოციაცია" არ არის უფლებამოსილი დასაბუთების გარეშე ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ეს შეთანხმება, წინააღმდეგ შემთხვევაში "მოსარგებლე" უფლებამოსილია მოსთხოვოს მას ზიანის ანაზღაურება სრული ოდენობით

## 9. ფორს მაჟორი

9.1. არცერთი მხარე არ აგებს პასუხს შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს მაჟორული გარემოებების) ზემოქმედების გამო, რომელიც დაიწყო და/ან განვითარდა შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ და მისი მოქმედების განმავლობაში.

9.2. ფორს მაჟორულ გარემოებებად განიხილება სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფები, ხანძარი, საომარი მოქმედებები, სამთავრობო გადაწყვეტილებები და სხვა შესაძლო გარემოებები, რომელთა არსებობის დროსაც შეუძლებელია შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

9.3. მხარე, რომელსაც წამოეჭრა დაუძლეველი ძალის გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და შეწყვეტის შესახებ სამი დღის ვადაში წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.4. შეტყობინებაში ასახული ფაქტები დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ, გარდა იმ შემთვევებისა, როდესაც ასეთი გარემოებები წარმოადგენს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს.

9.5. მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეჩერდება ფორს მაჟორული გარემოებების მოქმედების პერიოდით.

9.6. შეუტყობინებლობა ან დაგვიანებით შეტყობინება უფლებას ართმევს მხარეს გამოიყენოს ზემოთ მოყვანილი დაუძლეველი ძალის გარემოებები პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლად.

## 10. სხვა პირობები

10.1. თუ რომელიმე ავტორი, მისი მემკვიდრე და/ან სხვა უფლებამფლობელი ამოიღებს თავის ნაწარმოებს „ასოციაციის რეპერტუარიდან" "ასოციაცია" ვალდებულია დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს სამი სამუშაო დღისა წერილობით (მათ შორის ელ-ფოსტით) აცნობოს "მოსარგებლეს" აღნიშნულის შესახებ."ასოციაციის" მხრიდან "მოსარგებლისათვის" აღნიშნულის შეუტყობინებლობის შემთხვევაში მას არ აქვს უფლება დააკისროს "მოსარგებლეს" პასუხისმგებლობა იმ ნაწარმოების სარგებლობის ლიცენზიის და/ან სათანადო ნებართვის არქონის გამო, რომელიც ავტორის, ავტორის მემკვიდრის და/ან უფლებათა სხვა კანონიერი მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე ამოღებულ იქნა „ასოციაციის რეპერტუარიდან" და რომელიც "მოსარგებლეს" შეძენილი ჰქონდა შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები ადასტურებენ, რომ დაუშვებელია "მოსარგებლის" პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის და/ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებების დარღვევის გამო, თუ "მოსარგებლეს", როგორც კეთილსინდისიერ მხარეს გაფორმებული ქონდა სათანადო ხელშეკრულება და ჰქონდა ობიექტური საფუძველი და სამართლიანი მოლოდინი, რომ მის მიერ განხორციელებული ქმედება იყო სათანადო ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის ნორმების საფუძველზე განხორციელებული. ამასთან, "მოსარგებლე" უფლებამოსილია რეგრესის წესით მოსთხოვოს "ასოციაციას" ზიანის ანაზღაურება ყველა იმ მატერიალური დანაკარგისათვის, რომელიც დაეკისრა მას და/ან იმ შეთანხმების მხარეს.

10.2. მხარეები ვალდებული არიან დროულად, წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს რეორგანიზაციის და/ან ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, დაწყებიდან არა უგვიანეს სამი სამუშაო დღის ვადაში და მათ ხელთ არსებული ობიექტური შესაძლებლობების ფარგლებში აცნობონ ერთმანეთს ამ შეთანხმებაში მითითებული რეკვიზიტის ცვლილების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარის მიერ განხორციელებული ქმედება (ამ შეთანხმების დადების მომენტისთვის შეთანხმებაში მითითებულ რეკვიზიტებზე განხორციელებული საბანკო გადარიცხვა, მითითებულ მისამართზე შეტყობინების გაგზავნა და ა.შ.) ჩაითვლება მართლზომიერად.

10.3. ამ შეთანხმებაზე ხელმოწერისთანავე შეწყვეტილად ითვლება ამავე საგანზე დადებული ყველა ხელშეკრულება მათ შორის 2013 წელის 06 ნოემბერს გაფორმებული N2023 სალიცენზიო შეთანხმება.

10.4. პირობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ შეთანხმებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.5. ამ შეთანხმებაში შეტანილი ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

10.6. ამ შეთანხმების ყველა დანართი, რომელიც დამოწმებულია ორივე მხარის სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

10.7. ეს სალიცენზიო შეთანხმება ხელმოწერილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა „ასოციაციას", მეორე - „"მოსარგებლეს" ხელმოწერისთანავე.

**მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

| | |
|---|---|
| ასოციაცია<br>ააიპ საქართველოს საავტორო უფლებთა ასოციაცია<br>ს/კ 202065415,<br>თბილისი, კოსტავას 63, მე-2 სადარბ. მე-2 სართ.<br>სს "საქართველოს ბანკი"<br>ბანკის კოდი BAGAGE22<br>ანგარიშის №GE84BG0000000282081700,<br>ტელ.:, 2 23 78 87<br>www.gca.ge contact@gca.ge<br>____________<br>გიგა კობალაძე<br>გამგეობის თავმჯდომარე | სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"<br>საქართველო, მერაბ ალექსიძის ქუჩა №1, ს/კ 202294980<br>შენობა ნაგებობა №1, სართული №2<br>ტელ: - 2 200 220<br>____________<br>ზვიად როსტომაშვილი<br>დირექტორი<br>---------------------------- |

*ასოციაცია____________/გიგა კობალაძე/*

*მოსარგებლე____________/ ზვიად როსტომაშვილი/*

## დანართი №-1

საავტორო უფლებით დაცული ლიტერატურული ნაწარმოების ბეჭდური ფორმით სასწავლო მიზნით გამოცემა/რეპროდუცირებისათვის გაცემულ №-4202 სალიცენზიო შეთანხმებაზე

(კომერციული, პროფესიული, და სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურებები - CPV98110000)

თბილისი 17 დეკემბერი 2018 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია (შემდგომში "ასოციაცია"), რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონისა (შემდგომში "კანონი") და საკუთარი წესდების საფუძველზე, წარმოდგენილი მისი გამგეობის თავმჯდომარის გიგა კობალაძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ **„საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"** (შემდგომში „მოსარგებლე"), წარმოდგენილი მისი ზვიად როსტომაშვილის სახით, 2018 წლის „20„ ნოემბერს გაფორმებული №-4202 სალიცენზიო შეთანხმების საფუძველზე ვაფორმებთ დანართს (შემდგომში "შეთანხმების დანართი") შემდეგზე:

### 1. საგანი და მხარეთა უფლება მოვალეობები

1.1 შეთანხმების დანართის საგანს წარმოადგენს:

ა) "ასოციაციის" მიერ გაცემული სალიცენზიო შეთანხმების საფუძველზე "ასოციაციის რეპერტუარს" მიკუთვნებული ლიტერატურული ნაწარმოებების საქართველოს ტერიტორიაზე ბეჭდური ფორმით სასწავლო მიზნით რეპროდუცირებისათვის მხარეთა შორის შეთანხმებული ჰონორარის განაწილება და გადახდა საავტორო უფლების მფლობელ(ებ)ისათვის.

ბ) „ასოციაციისათვის" წინასწარ ცნობილი საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების სასწავლო მიზნით რეპროდუცირებისათვის ლიტერატურული ნაწარმოების ავტორებთან საავტორო ჰონორარის გადახდაზე "ასოციაციის" მიერ პასუხიმგებლობის აღება და ამასთან დაკავშირებით ურთიერთობების დარეგულირება "მოსარგებლის" ჩარევის გარეშე.

1.2 შეთანხმების დანართი ეხება მხოლოდ „მოსარგებლის" ხელახლა დაბეჭდილ მგამომცემლობა შპს „ინტელექტის"- მიერ 2011 წელს გამოცემულ მუსიკის მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასის სახელმძღვანელოში სასწავლო მიზნით რეპროდუცირებულ „ასოციაციის რეპერტუარს" მიკუთვნებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს. იგი არ ეხება ნაწარმოების სხვა სახით გამოყენებაზე უფლებას და მოიცავს შემდეგ საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

❖ მეშვიდე კლასის მუსიკის სახელმძღვანელო. გამომცემლობა - შპს „ინტელექტი"

| ნაწარმოების დასახელება | ორიგინალური ნაწარმოების ავტორი | განთავსების არეალი |
|---|---|---|
| ➢ საზამთრო | ➢ ჯანსულ კახიძე | ➢ 2 გვ |
| ➢ ტაბურინი | ➢ ჟან ფილმ რომოს | ➢ 1 გვ |
| ➢ შენ ერთადერთი | ➢ გია ყანჩელი | ➢ 1 გვ |

* რეალიზებული ტირაჟი – **16000 ეგზემპლარი;**
* ნაწარმოების რეპროდუცირების ვადა – **2018 წელი**
* გამოცემული ნაწარმოების რეალიზაციის ვადა — **2018 წლის 30 დეკემბრამდე**
* საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების განთავსების არეალი – **4 გვ;**
* ყდა — **რბილი.**
* საავტორო ჰონორარი - **152 ლარი**

მერვე კლასის მუსიკის სახელმძღვანელო. გამომცემლობა - შპს „ინტელექტი"

| ნაწარმოების დასახელება | ორიგინალური ნაწარმოების ავტორი | განთავსების არეალი |
|---|---|---|
| ➢ თბილისის დილა | ➢ ს. ცინცაძე, პ გრუზინსკი | ➢ 1 გვ |
| ➢ ბალეტიდან გაიანე | ➢ არამ ხაჭატურიანი | ➢ 1 გვ |
| ➢ შენ ერთადერთი | ➢ გია ყანჩელი | ➢ 1 გვ |

* რეალიზებული ტირაჟი – **3400 ეგზემპლარი;**
* ნაწარმოების რეპროდუცირების ვადა – **2018 წელი**
* გამოცემული ნაწარმოების რეალიზაციის ვადა — **2018 წლის 30 დეკემბრამდე**
* საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების განთავსების არეალი – **3 გვ;**
* ყდა — **რბილი.**
* საავტორო ჰონორარი - **69 ლარი**

_______________ / გიგა კობალაძე /
ხელმოწერა

_______________ ზვიად როსტომაშვილი/
ხელმოწერა

მეცხრე კლასის მუსიკის სახელმძღვანელო. გამომცემლობა - შპს „ინტელექტი“

| ნაწარმოების დასახელება | ორიგინალური ნაწარმოების ავტორი | განთავსების არეალი |
|---|---|---|
| ➢ სიმღერა თბილისზე | ➢ რ. ლაღიძე | ➢ 1 გვ |
| ➢ საქანელა | ➢ ინოლა გურგულია | ➢ 1 გვ |
| ➢ O, solo mio | ➢ მიკის თეოდორაკისი | ➢ 1 გვ |
| ➢ დინამო | ➢ მორის ფოცხიშვილი | ➢ 1 გვ |
| ➢ თბილისის დილა | ➢ ს. ცინცაძე, პ. გრუზინსკი | ➢ 1 გვ |

* რეალიზებული ტირაჟი – **3700 ეგზემპლარი;**
* ნაწარმოების რეპროდუცირების ვადა – **2018 წელი**
* გამოცემული ნაწარმოების რეალიზაციის ვადა — **2018 წლის 30 დეკემბრამდე**
* საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების განთავსების არეალი – **5 გვ;**
* ყდა — **რბილი.**
* საავტორო ჰონორარი - **115 ლარი**

1.3 „მოსარგებლე“ ვალდებულია, დამატებითი ტირაჟირების შემთხვევაში, აცნობოს „ასოციაციას“ და დამატებით გადაიხადოს ყოველ ასეთ ტირაჟირებაზე.

1.4 შეთანხმების დანართის თანახმად საავტორო ჰონორარის დროულად გადახდისთანავე ასოციაცია იღებს ვალდებულებას დაიცვას „მოსარგებლე“ ამ დანართით გათვალისწინებული ნაწარმოების ავტორების შესაძლო პრეტენზიისაგან.

1.5 „ასოციაცია“ ადასტურებს და იძლევა გარანტიას მასზედ, რომ 2018 წელს 1.2 პუნქტით გათვალისწინებული ნაწარმოებების ბეჭდური ფორმით სასწავლო მიზნით რეპროდუცირებისათვის, „მოსარგებლეს“ არ დაეკისრება საავტორო ჰონორართან დაკავშირებული რაიმე ფინანსური ვალდებულება, გარდა ამ შეთანხმების 2.1 პუნქტით განსაზღვრული თანხისა.

1.6 „ასოციაცია“ იძლევა გარანტიას, რომ მას გააჩნია სრული უფლებამოსილება გადასცეს „მოსარგებლეს“ შეთანხმების დანართით გათვალისწინებული უფლებები, შესაბამისად იგი პასუხიმგებელია მესამე პირების მიერ „მოსარგებლისადმი“ საავტორო ჰონორართან დაკავშირებული მოთხოვნის წამოყენების შემთხვევაში.

## 2. ფინანსური პირობები და ანგარიშსწორების წესი

2.1 შეთანხმების დანართის 1.2 პუნქტში მითითებული ნაწარმოებების ბეჭდური ფორმით 2018 წლის მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასის სახელმძღვანელოს სახით ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნებული ნაწარმოებების სასწავლო მიზნით რეპროდუცირებისათვის "მოსარგებლე" ვალდებულია გადაიხადოს ჰონორარი **336 (სამას ოცდათექვსმეტი)** ლარის ოდენობით დღგ-ს ჩათვლით.

2.2 „მოსარგებლის“ მიერ 2.1 პუნქტში მითითებული თანხა გადახდილი უნდა იქნეს არაუგვიანეს 2018 წლის 20 დეკემბრამდე.

## 3. შეთანხმების მოქმედების ვადა

3.1 შეთანხმების დანართი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

## 4. დავების გადაწყვეტა

4.1 შეთანხმების დანართით გათვალისწინებულ, ან მასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება მოლაპარაკების გზით.

4.2 მოლაპარაკების წარუმატებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 5. დასკვნითი დებულებები

5.1 შეთანხმების დანართი დაერთვის 2018 წლის 17 დეკემბერს გაფორმებულ N4202 სალიცენზიო შეთანხმებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

5.2 შეთანხმების დანართი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემა მხარეებს.

**მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

| ასოციაცია | მოსარგებლე |
|---|---|
| ააიპ საქართველოს საავტორო უფლებთა ასოციაცია<br>ს/კ 202065415,<br>თბილისი, კოსტავას 63, მე-2 სადარბ. მე-2 სართ.<br>სს "საქართველოს ბანკი"<br>ბანკის კოდი BAGAGE22<br>ანგარიშის №GE84BG0000000282081700,<br>ტელ.:, 2 23 87 78<br>www.gca.ge contact@gca.ge<br>–<br>გიგა კობალაძე<br>გამგეობის თავმჯდომარე | სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“<br><br>ალექსიძის ქ. N1<br><br>---------------<br>ზვიად როსტომაშვილი<br>დირექტორი |

ხელმოწერა /გიგა კობალაძე /

ხელმოწერა /ზვიად როსტომაშვილი/

## დანართი №–2

სავტორო უფლებით დაცული ლიტერატურული ნაწარმოების ბეჭდური ფორმით სასწავლო მიზნით გამოცემა/რეპროდუცირებისათვის გაცემულ №-4202 სალიცენზიო შეთანხმებაზე

(კომერციული, პროფესიული, და სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურებები - CPV98110000)

თბილისი 17 დეკემბერი 2018 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია (შემდგომში "ასოციაცია"), რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონისა (შემდგომში "კანონი") და საკუთარი წესდების საფუძველზე, წარმოდგენილი მისი გამგეობის თავმჯდომარის გიგა კობალაძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ **„საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"** (შემდგომში „მოსარგებლე"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზვიად როსტომაშვილის სახით, 2018 წლის 20 ნოემბერს გაფორმებული №-4202 სალიცენზიო შეთანხმების საფუძველზე ვაფორმებთ დანართს (შემდგომში "შეთანხმების დანართი") შემდეგზე:

### 1. საგანი და მხარეთა უფლება მოვალეობები

1.1 შეთანხმების დანართის საგანს წარმოადგენს:

ა) "ასოციაციის" მიერ გაცემული სალიცენზიო შეთანხმების საფუძველზე "ასოციაციის რეპერტუარს" მიკუთვნებული ლიტერატურული ნაწარმოებების საქართველოს ტერიტორიაზე ბეჭდური ფორმით სასწავლო მიზნით რეპროდუცირებისათვის მხარეთა შორის შეთანხმებული ჰონორარის განაწილება და გადახდა საავტორო უფლების მფლობელ(ებ)ისათვის.

ბ) „ასოციაციისათვის" წინასწარ ცნობილი საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების სასწავლო მიზნით რეპროდუცირებისათვის ლიტერატურული ნაწარმოების ავტორებთან საავტორო ჰონორარის გადახდაზე "ასოციაციის" მიერ პასუხიმგებლობის აღება და ამასთან დაკავშირებით ურთიერთობების დარეგულირება "მოსარგებლის" ჩარევის გარეშე.

1.2 შეთანხმების დანართი ეხება მხოლოდ „მოსარგებლის" მიერ გამომცემლობა შპს „გამომცემლობა დიოგენე"-ს მიერ 2011 წელს გამოცემული მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასების სახელმძღვანელოების სახით – „ქართული ენა და ლიტერატურა", სასწავლო მიზნით რეპროდუცირებულ „ასოციაციის რეპერტუარს" მიკუთვნებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს. იგი არ ეხება ნაწარმოების სხვა სახით გამოყენებაზე უფლებას და მოიცავს შემდეგ საიდენტიფიკაციო მონაცემებს:

**მეათე კლასისი სახელმძღვანელო - „ქართული ენა და ლიტერატურა"**

| ნაწარმოების დასახელება | ავტორი | განთავსების არეალი |
|---|---|---|
| ბიძია | რეზო ჭეიშვილი | 2 გვ |
| ჩვენი ცხოვრება | ფილიპე გოგიჩაიშვილი | 4 გვ |
| ალავერდობა | გურამ რჩეულიშვილი | 8 გვ |
| იგი | ჯემალ ქარჩხაძე | 28 გვ |
| მუნჯი ახმედი და სიცოცხლე | გურამ რჩეულიშვილი | 10 გვ |
| ქორწილი | ნიკო ლორთქიფანიძე | 6გვ |
| ჩემი საწყალი სიყვარული | რევაზ ინანიშვილი | 2 გვ |
| ნუ გაალვიძებ | ნოდარ დუმბაძე | 13 გვ |

- რეალიზებული ტირაჟი – **1400 ეგზემპლარი;**
- ნაწარმოების გამოცემის ვადა – **2018 წელი**
- საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების განთავსების არეალის რაოდენობა – **73 გვ**
- გამოცემული ნაწარმოების რეალიზაციის ვადა — **2018 წლის 30 დეკემბრამდე**
- ყდა — **რბილი.**
- **ჰონორარი -1314 ლარი**

❖ **მე–11 კლასის სახელმძღვანელო - „ქართული ენა და ლიტერატურა". გამომცემლობა - შპს „გამომცემლობა დიოგენე".**

| ნაწარმოების დასახელება | ავტორი | განთავსების არეალი |
|---|---|---|
| ნელი ტანგო | გურამ რჩეულიშვილი | 3 გვ |
| ავთანდილი | რეზო ჭეიშვილი | 3 გვ |
| მარინა | ჯემალ ქარჩხაძე | 10 გვ |
| ყივჩაღის პაემანი | გიორგი ლეონიძე | 1 გვ |
| მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე | გალაქტიონ ტაბიძე | 1 გვ |
| თოვლი | გალაქტიონ ტაბიძე | 1 გვ |
| სანტიმეტალური ტრიოლეტი | ვალერიან გაფრინდაშვილი | 1 გვ |
| შერიგება | გალაქტიონ ტაბიძე | 1 გვ |
| ავადმყოფი მგოსანი | გიორგი ლეონიძე | 1 გვ |
| კაცი რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა | გურამ დოჩანაშვილი | 27 გვ |
| საუბარი ხელოვნების თემაზე | ზურაბ კაკაბაძე | 2 გვ |
| ლურჯა ცხენები | გალაქტიონ ტაბიძე | 1 გვ |
| სილაყვარდე ანუ ვარდი სილაში | გალაქტიონ ტაბიძე | 1 გვ |
| აქ ერთ დროს | შოთა ჩანტლაძე | 1 გვ |

/გიგა კობალაძე / ხელმოწერა

/ზვიად როსტომაშვილი/ ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| სირცხვილის შემდეგ | ბესიკ ხარნაული | 1.გვ |
| მთაწმინდის მთვარე | გალაქტიონ ტაბიძე | 1.გვ |
| ის ლექსისი გარდა | ნიკო სმადაშვილი | 1.გვ |
| ვარსკვლავები | გივი გეგეჭკორი | 1.გვ |
| სათაავებთან | გურამ ასათიანი | 2.გვ |
| ლაჰილზე ისევ | ანა კალანდაძე | 1.გვ |
| სად არიან შვილები | ბესიკ ხარნაული | 1.გვ |
| ჩაქუჩიანი მამაკაცი | გერონტი ქიქოძე | 3 გვ |
| დავით აღმაშენებლის ქვა | ნოდარ წულეისკირი | 30.გვ |
| როდესაც ასე ახლოა გრემი | ოთარ ჭილაძე | 1.გვ |
| შინდისის ჭადრებს | გალაკქტიონ ტაბიძე | 1.გვ |
| ისლის სახლი | კონსტანტინე გამსახურდია | 1.გვ |
| ჩაკლული სული | გრიგოლ რობაქიძე | 7.გვ |
| ქვეყანა გაცვდა | გალაქტიონ ტაბიძე | 1.გვ |
| 25 თებერვალი | კოლაუ ნადირაძე | 1.გვ |
| ფოქსტროტი | რეზო ჭეიშვილი | 1.გვ |

* რეალიზებული ტირაჟი – 1200 ეგზემპლარი;
* ნაწარმოების რეპროდუცირების ვადა – **2018 წელი**
* საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების განთავსების არეალი – **108 გვ;**
* გამოცემული ნაწარმოების რეალიზაციის ვადა — **2018 წლის 30 დეკემბრამდე**
* ყდა — **რბილი.**
* **ჰონორარი - 1944 ლარი**

მე–12 კლასისი სახელმძღვანელო - **„ქართული ენა და ლიტერატურა“**

| ნაწარმოების დასახელება | ავტორი | განთავსების არეალი |
|---|---|---|
| შემთხვევა | ირაკლი ლომოური | 3.გვ |
| მკითხველი | ოთარ ჩხეიძე | 4.გვ |
| არის მკითხველი | ზურაბ კაკაბაძე | 4.გვ |
| რაჰათ ლუხუმი | ჯემალ ქარჩხაძე | 14.გვ |
| ხეები | ბესიკ ხარნაული | 2 გვ |
| მდინარენი ვერ წარღვნიან | თამაზ ნატროშვილი | 5 გვ |
| შენ უნდა ცისფერ ღრუბელთან იწვე | ტარიელ ჭანტურია | 1.გვ |
| ცხრა შეკითხვა სიყვარულის შესახებ | გოდერძი ჩოხელი | 4.გვ |
| სამი ნოველა | რევაზ ინანიშვილი | 8.გვ |
| გერონტი ქიქოძე | სიკვდილის შიში | 4.გვ |
| მესაფლავე | გალაქტიონ ტაბიძე | 1.გვ |
| ფხიზელი გონების ძალა | აკაკი ბაქრაძე | 4.გვ |
| ნიკო ლორთქიფანიძე | თავსაფრიანი დედაკაცი | 6.გვ |
| რომ მომავალი ჩვენია | თამაზ ნატროშვილი | 5.გვ |
| დიალოგი | გურამ ასათიანი | 9.გვ |
| კაპიკი გაკაპიკებულა, ევროპაში რა მინდოდა | ნუგზარ შატაიძე | 31.გვ |
| დიდოსტატის მარჯვენა | კონსტანტინე გამსახურდია | 4.გვ |
| მრისხანე ბატონი | ნიკო ლორთქიპანიძე | 9.გვ |
| ყოველმან ჩემან მპოველმან | ოთარ ჭელიძე | 14.გვ |
| დათა თუთაშხია | ჭაბუა მაირეჯიბი | 5.გვ |
| ბორიაყი | ოთარ ჩხეიძე | 5.გვ |
| ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორია | რეზო ჭეიშვილი | 10.გვ |
| ბიზაჩემი იონა | ჯემალ ქარჩხაძე | 23.გვ |

* რეალიზებული ტირაჟი – **1000 ეგზემპლარი;**
* ნაწარმოების გამოცემის ვადა – **2018 წელი**
* საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების განთავსების არეალის რაოდენობა – **175 გვ**
* გამოცემული ნაწარმოების რეალიზაციის ვადა — **2018 წლის 30 დეკემბრამდე**
* ყდა — **რბილი.**
* **ჰონორარი - 2275 ლარი**

ხელმოწერა ____________ /გიგა კობალაძე/

ხელმოწერა ____________ /ზვიად როსტომაშვილი/

1.3 „მოსარგებლე“ ვალდებულია, დამატებითი ტირაჟირების შემთხვევაში, აცნობოს „ასოციაციას“ და დამატებით გადაიხადოს ყოველ ასეთ ტირაჟირებაზე.

1.4 შეთანხმების დანართის თანახმად საავტორო ჰონორარის დროულად გადახდისთანავე ასოციაცია იღებს ვალდებულებას დაიცვას „მოსარგებლე“ ამ დანართით გათვალისწინებული ნაწარმოების ავტორების შესაძლო პრეტენზიისაგან.

1.5 „ასოციაცია“ ადასტურებს და იძლევა გარანტიას მასზედ, რომ 2018 წელს 1.2 პუნქტით გათვალისწინებული ნაწარმოებების ბეჭდური ფორმით სასწავლო მიზნით რეპროდუცირებისათვის, „მოსარგებლეს“ არ დაეკისრება საავტორო ჰონორართან დაკავშირებული რაიმე ფინანსური ვალდებულება, გარდა ამ შეთანხმების 2.1 პუნქტით განსაზღვრული თანხისა.

1.6 „ასოციაცია“ იძლევა გარანტიას, რომ მას გააჩნია სრული უფლებამოსილება გადასცეს „მოსარგებლეს“ შეთანხმების დანართით გათვალისწინებული უფლებები, შესაბამისად იგი პასუხიმგებელია მესამე პირების მიერ „მოსარგებლისადმი“ საავტორო ჰონორართან დაკავშირებული მოთხოვნის წამოყენების შემთხვევაში.

## 2. ფინანსური პირობები და ანგარიშსწორების წესი

**2.1** შეთანხმების დანართის 1.2 პუნქტში მითითებული ნაწარმოებების ბეჭდური ფორმით 2018 წლის მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელოში სასწავლო მიზნით რეპროდუცირებისათვის "მოსარგებლე" ვალდებულია გადაიხადოს საავტორო ჰონორარი **5533 ( ხუთი ათას ხუთას ოცდაცამეტი) ლარი** დღგ-ს ჩათვლით.

2.2 „მოსარგებლის“ მიერ 2.1 პუნქტში მითითებული თანხა გადახდილი უნდა იქნეს არაუგვიანეს 2018 წლის 20 დეკემბრამდე.

## 3. შეთანხმების მოქმედების ვადა

3.1 შეთანხმების დანართი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

## 4. დავების გადაწყვეტა

4.1 შეთანხმების დანართით გათვალისწინებულ, ან მასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება მოლაპარაკების გზით.

4.2 მოლაპარაკების წარუმატებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 5. დასკვნითი დებულებები

5.1 შეთანხმების დანართი დაერთვის 2018 წლის 17 დეკემბერს გაფორმებულ N4202 სალიცენზიო შეთანხმებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

5.2 შეთანხმების დანართი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემა მხარეებს.

**მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

| ასოციაცია | მოსარგებლე |
|---|---|
| ააიპ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია<br>ს/კ 202065415,<br>თბილისი, კოსტავას 63, მე-2 სადარბ. მე-2 სართ.<br>სს "საქართველოს ბანკი"<br>ბანკის კოდი BAGAGE22<br>ანგარიში #GE84BG0000000282081700,<br>ტელ.:, 2 23 87 78<br>www.gca.ge contact@gca.ge<br>გიგა კობალაძე<br>გამგეობის თავმჯდომარე | სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“<br>საქართველო, მერაბ ალექსიძის ქუჩა №1, ს/კ 202294980<br>შენობა ნაგებობა №1, სართული №2<br>ტელ: - 2 200 220<br>ზვიად როსტომაშვილი<br>დირექტორი |

ხელმოწერა / გიგა კობალაძე /

ხელმოწერა /ზვიად როსტომაშვილი/

# დანართი №–3

საავტორო უფლებით დაცული ლიტერატურული ნაწარმოების ბეჭდური ფორმით სასწავლო მიზნით გამოცემა/რეპროდუცირებისათვის გაცემულ №-4202 სალიცენზიო შეთანხმებაზე

(კომერციული, პროფესიული, და სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურებები - CPV98110000)

თბილისი — 17 დეკემბერი 2018 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია (შემდგომში "ასოციაცია"), რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონისა (შემდგომში "კანონი") და საკუთარი წესდების საფუძველზე, წარმოდგენილი მისი გამგეობის თავმჯდომარის გიგა კობალაძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ **„საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"** (შემდგომში „მოსარგებლე"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზვიად როსტომაშვილის სახით, 2018 წლის „20„ ნოემბერს გაფორმებული №-4202 სალიცენზიო შეთანხმების საფუძველზე ვაფორმებთ დანართს (შემდგომში "შეთანხმების დანართი") შემდეგზე:

## 1. საგანი და მხარეთა უფლება მოვალეობები

1.1 შეთანხმების დანართის საგანს წარმოადგენს:

ა) "ასოციაციის" მიერ გაცემული სალიცენზიო შეთანხმების საფუძველზე "ასოციაციის რეპერტუარს" მიკუთვნებული ლიტერატურული ნაწარმოებების საქართველოს ტერიტორიაზე ბეჭდური ფორმით სასწავლო მიზნით რეპროდუცირებისათვის მხარეთა შორის შეთანხმებული ჰონორარის განაწილება და გადახდა საავტორო უფლების მფლობელ(ებ)ისათვის.

ბ) „ასოციაციისათვის" წინასწარ ცნობილი საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების სასწავლო მიზნით რეპროდუცირებისათვის ლიტერატურული ნაწარმოების ავტორებთან საავტორო ჰონორარის გადახდაზე "ასოციაციის" მიერ პასუხიმგებლობის აღება და ამასთან დაკავშირებით ურთიერთობების დარეგულირება "მოსარგებლის" ჩარევის გარეშე.

